

ვებგვერდი, 11/07/2013  
სარეგისტრაციო კოდი  
040040040.22.055.016030

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის  
ბრძანება №01/412  
2013 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი**

**„საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა  
სამინისტროს სათათბიროს დებულების დამტკიცების შესახებ“  
საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო  
დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის N4  
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბიროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის N4 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სათათბიროს დებულებას (სსმ III, 2001 წ., N18, მუხლი 158) დაემატოს შემდეგი შინაარსის 13<sup>1</sup> პუნქტი:

„13<sup>1</sup>. სათათბიროს წევრები პროექტებს განიხილავენ ექვსი ძირითადი შეფასების კრიტერიუმის შესაბამისად:

- ა) განმცხადებლის რესურსი და მოტივაცია;
- ბ) პროექტის შესაბამისობა დასაფინანსებელ პრიორიტეტებთან და პრობლემის აქტუალურობა;
- გ) პროექტის მიზნებისა და განხორციელების გზების ეფექტურობა;
- დ) პროექტის ბიუჯეტის ადეკვატურობა;
- ე) პროექტის შედეგზე ორიენტირებულობა;
- ვ) სათათბიროსთან არსებული კომისიების დარგობრივი ექსპერტების რეკომენდაცია“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სპორტისა და ახალგაზრდობის  
საქმეთა მინისტრი

*ლევან ყიფიანი*